



გაზეთის ფასი

გაზეთის ფასი
თეთრი ფურცელი...
წილის ფასი...
სამის ფასი...

ფრომბა

ხელის-მოწერა მიიღება:

თელისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-
შვილის და კაპა. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთაის სახლში.
თელისის ფარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: ВЪ ТИЛИСЬ, ВЪ
контору редакції грузинской газеты „ВРЕМЯ“.

საკრედიტო და სალიტერატურო გაზეთი.

გ ა ზ ე ტ ი ს

დიდი გაჭირება ადგას ხოლმე ყოველ წელს „დროების“ რედაქციას იმის გამო, რომ ხელის მოშორებით იბარებენ გაზეთსა და ფული კი თავის დროზე არ შემოაქვთ.
ბეზინი არიან იმისთანა ხელის მოშორებით, რომელნიც იბარებენ და ფულს არ იძლევიან.
ამისთვის მომავლის წლიდან ვინც წინათვე არ გამოგზავნის ფულს, გაზეთი არ გაეგზავნება.
თუ მომავალ წლამდის არ შემოიტანეს, იმათ სახელსა და გვარს გამოაცხადებთ გაზეთში სამჯერ.
ვისაც „დროების“ დაბარება ჰსურს, უმოკრჩილესად ესთხოვეთ, ამ თავითვე წარმოადგინოს წლის ფული.

შინაარსი:

— ტფილისის უფლის მარშლის განცხადება. —
შინაური ამბები. — „დროების“ კორესპონდენცია. —
პოლიტიკა. — ისპანია. — მსხალა. — ტელეგრაფები
ლექსი: საბრელი მამკალი ქალი. — სერობოზიანი
განცხადებანი.

განცხადება

გამოცემა და დარედა ტფილისის გუ-
ბერნიამ „დასახნელი პირობის შედეგად“
რუსულად და ქართულად. ეს პირობა
ორივე ენაზე დაბეჭდილი „სასაფლოო გა-
ზეთში“ № 37, რომელიც ამდღეებში
იქნება მუთისს პეტრე ხელთისის მა-
ლაზიაში და მ. ძალანდარაშვილთან სა-
სულიერო სასწავლებელში გასასყიდათ.
ამასთანავე ამ მოკლე ჟამს სხვა სასაფ-
ლოო გაზეთის ნომრებში დაბეჭდება რუ-
სულად და ქართულად „განცხადება მე-
ბატონისა გლეხებისადმი ადგილების და-
სახნის თავიანთზე მთავრობის შემწეობით“
და „მაგალითი, თუ როგორ უნდა იანგა-
რიზონ დასახნელი სესხი მთავრობისა-
გან“. ეს უკანასკნელი, მარცხ ძალიან სა-
ჭიროა.
ქველას ნომრები, რომლებშიაც ხე-
მოსწავლებული სტატიები, დეკლარაციები
წარგზავნება მუთისს მ. ძალანდარაშვი-
ლის სახელზე და პეტრე ხელთისის
მალაზიაში.
იმერეთის მებატონეთა თუ ჰსურთ,
შეუძლიანთ მოიპოვიონ ეს ნომრები „სა-
საფლოო გაზეთისა“ ფულით.
ესი თითო ნომრისა ექვსი შაურია,
და თუ სამივე ნომერს ერთად იყიდონ,
მაშინ თითო ნომრის ფასი თითო აბაზია.
აქვე მიიღება ხელის მოწერა „სასა-
ფლოო გაზეთზე მომავალ წლისთვის. მთე-
ლი წლის ფასი 4 მანეთია გაგზავნით.

განცხადება

თფილისის ლუბერნიის კეთილ-
შობილთ წინამძღოლთა და ს. ა. მ.
დებობის აღმასრულებელთა.
ნებართვითა მისის იმპერატორებისა უმა-
ღლესობისა ქაჯასის ნამეტნიკისათა, ქ. სილ-
ნახსაშინა უნდა მოხდეს 25 მომავალსა ნომე-
ბერსა კეთილ შობილთ აღრჩევა სილნაღის
უფლის კეთილ შობილთ წინამძღოლისა თა-
ნამდებობასა ზედა.
ამისთვის განუცხადებ რა სილნაღის უფლის
კეთილ შობილთა, უმოკრჩილესად ეთხოვე ყო-
ველთა გაქმნდეთ მხედველობასა შინა შემ-
დგომნი მუხლნი ჰსჯულთა მესამე ტომისა.
აღრჩევის სამსახურსა ზედა: 34, 35, 36, 37,
52, 54, 74, 75, 77, 78, 80, 81, 82, 83,
84, 85, 94, 95, 96, 101, 102, 103, 105,
და 138. და XV ტომისა სჯულთა სისხლის
სამართლისათა: 1959, 1961, 1966 და 867.

შინაური ამბები

თფილისში გაიხსნა ნომერის 8-სა საქა-
ლაქო სამკურნალო, რომელშიაც არის 200
ავთმყოფისათვის ადგილი. ამით რიცხვში იქ-
ნებიან 24 გიჟების დასაწოლი ადგილები (გო-
ნებით ავთმყოფებისა), 4 მელოგინისა გამო-
საცდელად. ზარდა ამისა ეს სამკურნალო ამით
არის შესანიშნავი, რომ აქ იქმნება ფერწლე-
ბის სასწავლებლები, რომელთა უსწავლეობა-
ზედ ახლა ქაჯაში ბევრი ანდაზები დადის.
აქვე დარჩებიან ყოველი კურს დასრულებულ-
ნი ჰაქიმი ორის წლის განმავლობაში, რომ
გამოსცადოს ავთმყოფზე თავისი სწავლა
და ისე შეუდგეს თავის დიდ საქმესა.

მდესაში გამოფენის მოლო-
დინი. „მდესის მოამბიდგან“ სჩანს, რომ
სამხრეთის რუსეთის სოფლის სახლოსნობის
კრებას მიუღია სასარგებლოდ გახსნას მდეს-
აში, გამოსაცდელად, ექვსი წლის განმავ-
ლობაში, ორ წელიწადში ერთხელ, გამოფე-
ნანი, ყოველი სოფლის სახლოსნობისა და
ზაღის ნივთებისანი მთელი სამხრეთის რუსე-
თისათვის. რადგანაც მდესა არის შუაგული
სამხრეთის მხრის ვაჭრობისა და ხელოსნობისა,
ამიტომ აქ მოაქვს ყოველი კარგი ნივთი
სოფლის სახლოსნობის და ზაღში ვაჭაუ-
ბული; აგრეთვე აქ იყრებიან თავი და თავი
მოხმარებლები სამხრეთის რუსეთისა. აქვე
არის პირველი ვაჭრობა ჩვენის საქონლისა
სამძღვარს გარეთ გასატანად. ამიტომ აქ უნდა
აქრობონ ვაჭრობის წარმომადგენლებს სამხრე-
თის რუსეთის გამოსაგლის ნივთები. ამზარის
ასარულებლად კრებამ მიმართა ნოვორო-
სისის თემთა, რომელმაც ეს ამბავი დიდის სია-
მოვებით მიიღო და დაპირდა თანამგობო-
ბელობასა. ხერსონის კრებამ გადასწყვიტა თა-
ვის სხდომაში 1866 წ., რომ ამ საგნისათვის
გადასდონ ყოველ წელიწადში 500 მ. რადგა-
ნაც გამოფენა გაიხსნება ორ წელიწადში
ერთხელ, ამიტომ მართა, ხერსონიდან იქმ-
ნება შეწყენა ყოველი გახსნისათვის 1000;
და მთელი ნოვოროსისის მხარის მონაწილე-
ბით ეს სუმა გაიზრდება 4060 მ—მდე, რომე-
ლიც სრულებით საქმე არის პირველი და-
წყებისათვის.
აბრეშუმის ამოსახვევის გამა-
რთვალ ანქორანში „Кавказ“
სწერენ წინქორანიდან, რომ წლიდანელს

გაზაფხულზე მოსულა იქ ერთი იტალიელი,
სახელად ბერზი იმ აზრით, რომ გამოართოს
ლენქორანში აბრეშუმის გამოსახვევი, როგო-
რიც მერაპაში არის. მს საქმე პირველად
ეგონათ ვერ მოხერხდებოდა, რადგანაც იქ არ
არა იმ გვარი მუშები, რომელთაც შეეძ-
ლოთ მოხმარება ამ საქმეში. მაგრამ უფ.
ბერზიმ იელისში გამართა ამოსახვევი და დაი-
წყო ამოხვევა რვა ჩრხხედ; აბრეშუმს იღე-
ბდა ძალიან წმინდასა და თანასწორსა. მხო-
ლოდ პარკი ძალიან ცოტა იყრ, რომელსაც
ერთი უცხო ქვეყნის კაცი შეიდულობდა სა-
თესლეთ ძალიან ძვირად; ამიტომ უფ. ბერ-
ზიმ წელს ცოტა აბრეშუმში ამოახვევა; შე-
მდეგში უნდა მოელოდნენ უკეთესსა. მთელს
ძასპის ზღვის პირზე, ლენქორანიდან მოკო-
დებულ რეშტამდე, არ არის ცოტადენად
მარცხ ვარგისი ანუ გაუკეთებელი აბრეშუ-
მის გამოსახვევი: ყველგან ახვევენ დიდრონ
ჩარხებულა კუდალ და უთანასწორად, მაგრა
ძასპის ზღვის ნაპირი აბრეშუმში ძალიან მო-
დის. ბერზის მოუყენია თან სამი ამოხვევაში
დახელოვნებულნი დედაკაცები, რომელნიც
ნელ-ნელა შეჩვევენ იქაურ დედაკაცებს ამ
საქმესა და მერე გამოსადევი მუშა უმოგარი
ალარ იქნება.

საკრედიტო მამკალი ქალი.

Erant trecento, erant giovani e forti:
E sono morti!
სამკალი ვიყავ ზღვის პირად,
შოის დავინახე ხომალდი;
ჩვენქნ მოჰქოდა უშიშრად
თქერი ფრთოსანი, ვით მტრედი.
ჯერ პონტის კუნძულს მიადგა,
მაგრამ იქ დიდხანს არ დადგა.
შიგ ჰაბუი ჯარი ისხდა,
ჩვენ ქვეყანას მოდიოდა.
ისინი იყვნენ სამასი სულ დარჩეული ვაჟაკი.
მართანათ დაიხოცა ამდენი პირზე მამაკი!
ალმასის თოჯინარაღი
ჰმეწოდა იმათ ლელქამ ტანს.
როცა შეხედე გულ ლადი,
ღმერთს ვავერებდი იმათ თავს.
ისე პორტი ვინ არი,
ვინ იტყვის იმაზე ავსა?
სახე მათი მშვენიერი

ახლაც ცოცხლათ წინ მიდგას.
ძიღებ რომ გამოვიდნენ,
ღვთა-მეფას მოეხიენენ.
ისინი იყვნენ სამასი სულ დარჩეული ვაჟაკი
მართანათ დაიხოცა ამდენი პირზე მამაკი!
იმწამს ვიგრძენ, მათი გული
შურით არ არს ავსებული.
ძმარო, ერთბაშათ დავსძობთ:
მთვალათ სისხლი დავღვაროთ;
სამშობლოს დიდი დღე ელის;
ჩვენცა დიდება მიგველის.
— მალაც მესმის ეს ძახილი,
მურებში გაქვს წიგლი.
ისინი იყვნენ სამასი სულ დარჩეული ვაჟაკი.
მართანათ დაიხოცა ამდენი პირზე მამაკი!
ღვიქრებული ჰაბუი
სალ-გაზდა ჯარს უძლოდა;
მისი წყაზარი თვალები
მზის შუქით ანათებდა.
მკრის ფერი ხუტუკი თმა
მზის ღამაზე აშვენებდა;
მასთან მისი ნარნარი ხმა

სულაც არ დამავიწყდება.
იმას შემდეგ რა შემთხვევა,
სრულებით აღარ მახსოვს;
მაგრამ ვიცი, რომ ეს კითხვა:
„სად მიდიხარ და რისთვისა?“
პირიდან ამოვივიდა.
იმან მითხრა: „მსხვერპლი უნდა
ჩვენს სამშობლოს.“ — და გაშორდა.
ისინი იყვნენ სამასი სულ დარჩეული ვაჟაკი.
მართანათ დაიხოცა ამდენი პირზე მამაკი!
„მამულსა, დო, დაუდგა
ღოთ დიდებული!“ — მაიმე!
ბულ-გაბეთილი ვაგნისოდი
და მკაცა ვეღარ შევიდო,
მწუხარე იმათ დავდგედი;
შველანი მშვბათ მიმანდა,
მათ ჩემი გული ნაღვლობდა.
ისინი იყვნენ სამასი სულ დარჩეული ვაჟაკი.
მართანათ დაიხოცა ამდენი პირზე მამაკი!
მორი რაზმი ჯარი შეგებდა,
მორთავ თოფები წაფართით;
მაგრამ ჩეტოხს რომ მივედი,

იქ ლაშქარი მძლავრი დაგებდა.
თოფის ცეცხლი, წამლის კოშკი
მეწინად შეად მოეწინა,
მწარე ტყვია მრავლად-მრავლი
დაგვიშინეს, როგორც წვიმა.
ისინი იყვნენ სამასი სულ დარჩეული ვაჟაკი.
მართანათ დაიხოცა ამდენი პირზე მამაკი!
ათასზე მეტი მტრის ჯარი
შეგტყა სამას ვახსა,
წითელი სისხლი მდინარი
შეუღინდა უფსკრულს ზღვასა.
მუხლ-მოყრილი ვლოცულობდი,
მავდრებდი იმათ ღმერთსა.
შველა გაწუდა... მერს გაეხლი...
ხუტუკ-თმინიცი მოკლესა.
ხმა ნარნარა ხმა გაჰმინდა:
მტრს სწვევიდა, ისე მოკვდა.
ისინი იყვნენ სამასი სულ დარჩეული ვაჟაკი.
მართანათ დაიხოცა ამდენი პირზე მამაკი!
მ. წერეთელი.

ფირმისა მოსულა რუსეთში იმ აზრითა, რომ აქ გამართოს ერთი ძალიან ვრცელი მესხან-კური და რკინის საკეთილებელი ზაოდი, რომელიც მიაშველებს რუსეთის რკინის გზებს ლოკომოტივებს, რელსებს და სხვა და სხვა ყოველ რკინის ნივთებსა. უფ. ძალიან თავისი ზაოდის გამართვას აპირებს სადმე სამხრეთით რუსეთისა, იმ ადგილას, რომელიც იქნება სიახლოვეს შრალის მთებისა და შავის ზღვისა. ზომა ამ საქმისა ძალიან ვრცელი არის; და თუ პროექტი ამისა აღსრულდა, მაშინ შეიძლება მოლოდინი გვექონდეს, რომ რუსეთს ამ მოკლებსან შემდეგ აღარ ექნება საჭიროება მოიტანოს სამძღვარ გარედგან რკინიგული და რადგანაც რუსეთში კარგი რკინა გამოდის, ამიტომ გაგზავნის კიდევ რკინიგულს მეროპაში.

პრონშტატის სწავლაში ვითხოვლობთ: წლებიანდელი შემოდგომა იქნება შესანიშნავი მრავალი რიცხვით ჯავშანიანი გემებისა, რომელიც დასრულდებიან და ჩაიშვებიან წყალში პეტერბურგს; ესენი ჩამოვლენ პრონშტატში, რომ იქ უკანასკნელად შამოავლონ ჯავშანი. ჩვენ ვაცნობთ პეტერბურგიდან მოსვლა სამი ბურჯიანი შრეგატისა, აღმირალი ლაზარევისა, 16 ოქტომბერს მოვიდა ორი ბურჯიანი ჯავშანიანი შრეგატი „აღმირალი ლაზარევი“. ეს შრეგატი აშენეს პეტერბურგში. ის არის შესანიშნველი ბორტისა და ბურჯის მოვლების სიმკვიდრით. ამასა აქვს 400 ლონის მაშინა.

აღმირალი სპირიდოვის „შრეგატს უკან მოჰყვება პრონშტატში ორი ბურჯიანი ფრეგატი „აღმირალი ჩიჩაგოვი და ორი ბურჯიანი ნაევბი — „მეალთ მაქცი“ და „ნიმფა“. „აღმირალი ჩიჩაგოვი“ პეტერბურგში გააკეთეს იმავე პლანზე, როგორც „აღმირალი სპირიდოვი“. „მეალთ მაქცი“ და „ნიმფა“ პეტერბურგში გააკეთეს. ის ორივე იქნებიან დაიარაღებულნი ოთხი თუჯის 15 ლიბიანი ზარბაზნებითა.

ამ გემების გარდა, რომელიც ჩაუშვეს წყალში 18-ს ოქტომბერსა, ახლა ინიშნება ჩაშვება სამი ბურჯიანი დაჯავშული ფრეგატისა, სახელად „აღმირალი ბრევი“.

**დროშის კორმანდენცია.**

ოფშარბათი. მე როგორც ვცნობ „დროშის“ მოთხრობით გაზეთში საჭირო არის, ჩვენი სამშობლო ქვეყნის ჩვეულების აღწერა; ამისთვის მე მინდა ვაცნობოთ, რამდენიმე ძველი ჩვეულება, რომელიც დღესაც შეუჩვენებლად მოძრაობს ხალხში და მკითხველს უძღაბლესად ესთხოვ ჩემს მოთხრობას ყური დაუგდოს. მთქვამთ ვისიმე ოჯახში ავთი გახდა ვინმე. ჯერ ერთი კვირა გავა ისე, რომ ყურადღებასაც არავინ მიაქცევს. შემდეგ ერთის კვირისა თუ მაინც, და მაინც დიდი ბატონთაგანი (გადამდებს სატყვიარს დიდ ბატონებს ეძახიან) ვინმე არ არის, ექიმს დაუძახებენ, მაგრამ ისიც ვნახოთ, რა ნაირს ექიმს უძახის? სოფლის ექიმსა, რომელი ამასთანვე მკითხავიც გახლავთ. გადის მეორე კვირა. ავთამყოფს თანდა თან აკლდება ჯანი და ღონე მომეტებული ან თების გამო სიცხითა და უყურადღებობით, მაგრამ ჯერით ენა კიდევ არ წართმევიდა და იმის ჭირისუფალს ხრული იმედი აქვს, რომ არა გაუჭირდება. შემდეგ ორის კვირის ავთამყოფობისა, პირველ საშუალობით მიანიშნათ წირებში. ავთამყოფის პატრონი მომართავს მარჩიელს. შავებს, კარგს გამოცდილს და ნაქებს \*) ლობიოს მკითხავს. მივა იმასთან და აკითხვიანებს ლობიოთი ავთამ-

\*) მარჩიელი ეს არის თუ ლობიოთ არჩევს; აიღებს ხელში რამდენსამე ლობიოს მარცვალს და მიიღებს ტუჩებზე; ვითომ ვულკანო (ლობიოა ხისავე გაჭრილი ლევისა). შემდეგ წყნარად მოჰყვება და შემ-

მყოფის მარჩიელის თაობაზედ. მელობიე მარჩიელი დაყრის ლობიოს და უჩრჩევს, რომ იმით აწირებონ თხით. მითომ ის ავთამყოფი დაწყველით იყოს ავთი და თუ თხა წესწირა უსათუოდ მარჩიება: ერთი აბაზი იქნება ანუ ორი ამ მარჩილმა უნდა მიიღოს თავის ლობიოს ჭირათ. ავთამყოფის ჭირის ჯვალის დიდის რწმუნებით და სიჩქარით აღასრულდეს ამ მარჩიელის ბრძანებას, რომლისათვისაც გადის ხარჯი ოთხი, თუ ხუთი მანეთი თხის ზეარაკში. მაგრამ მეტი თქვენს მტერს ნურა რგებოდესრა, როგორათაც ეს იმ ავთამყოფს არას მოხმარებოდეს და ენება იმითი მისცა, რომ ექიმობის დრო დაუკარგა. მისი ზეარაკი რომ ეკარას არგებს, შემდეგ მეორე მკითხავთა გარეშე ავთამყოფი ჭირისაფლი. ამას ვაუფანია, რომ იმ მეორემ ხელის გულით იცისა შეტყობა. ისიც მოჰყავთ. მკითხავი დააქვრდება ხელის გულზედ ავთამყოფსა, შემდეგ დაფიქრდება და იტყვის, ცხვარი უნდა დაუკლათო. დიდს სიჩქარით ცხვარსაც იმ თხაზედ დააკლენ და თითქმის მთლად მღვდელს მიართმევენ. მსეც არ გამოადგა მძიმე ავთამყოფს. აქაც გადის უზრალო ხარჯი ხუთი ექვსიოდე მანეთი; ამასთანავე რასაკვირველია, ავთამყოფის ამბავს რომ გაიგებენ, ნათესავები მოვლენ შორიდგან სახანავით და ევლარც მიდიან, ამიტომ რომ ავთამყოფი უკანასკნელ დღეშია. ამ სახით ავთამყოფის სახლში სხვა და სხვა მხრიდამ ქალი და კაცი მოგროვდება ოცამდის და მათშორის ვინ რაებს ჩურჩულობს, იმის გაგება ორის ყურის პატრონს კი-არა, ათი ყურის პატრონსაც გაუჭირდება, მხოლოდ მათი პირველი ვრდგულობითი რჩევა ის არის, რომ ავთამყოფის ჭირის უფალს აუჩინონ ვინმე მკითხავი ავისულისა. იმოდენა ხალხში ეს სურვილი ჩქარაც აღსრულდება ერთი მეორის წასწრებით. აღმოაჩენენ ვინლასაც ისეთს, რომ იმხინ ეს მარჩიელი ერთი ნაცვამისაგან შეატყობს, რა დემართება ავთამყოფსა. ამაზედ ყველანი იქ მყოფნი დასცემენ ბანს, რომ ახლა მორჩა ჩვენი ავთამყოფი, რაკი მაგისთანა მარჩიელი გვაწაფელა იმ საპატიო კაცმო და არიან იმის გამოჩენელის ლოცვაში. ის ხომ არაფრათ ჩავარდება, რომ ავთამყოფთან ამდენი ხალხიც სარჩინათ ზურგზე დააწვა ოჯახის პატრონს. გრძელყო მარჩიელი აიღებს ავთამყოფის ნაქონს რასმე, ვთქვამთ ხელსახოცს და ერთს ყურს ერთს ხელში და იჭრის და მეორე ყურს ხელსახოცისას მეორე ხელში. ხელსახოცს ზევით ასწევს და უცქერის ასრე ოცი მინუტი მეტი; უყურებს დიდს დაფიქრებით და თან-და-თან გამოიკითხავს ავთამყოფის დღევანდლამდის მდგომარეობას. რაღა ბევრი გავაგრძელო, ისიც ვაუჩინეს, რომ მღვდლების კრებას აწირებოს. მართი მანეთი თვითონ ამ რჩევაში მიაქვს: ოჯახის პატრონი შეუდგება წირვის თადარიგს. ახლა ის მიიხსენებთ, თუ როგორ იქცევიან ამ კრებით წირვაში; „კრება“ არის შვიდი მღვდელი, შვიდი მთავარ დიაკონი, და თითო მათი მხლეველი იმით თითველად სთხოვენ ავთამყოფს უწირონ ერთ დღეს ყველამ და შექველია ისინიც აღასრულდენ, თუ კი

ღვრთ პატარა ფიცის ნაქრებზედ, ანუ რამე საფეხზედ დაყრის და იმავ დროს ხელსაც მოაშორებს. რასაკვირველია, ლობიო ზოგი ერთათ დარჩება და ზოგი განიხნება მოშორებით იმავე ფიცებზე და ამ ლობიოს მარცვლებს ურადღებოთ ადვენებს თვალებს, ხოლო პირველის დაწვებიდანვე ლაპარაკს კი არ იშლის ოჯახის პატრონთან, რომ ყოველივე გამოიკითხოს: ავთი გახდომამდის როგორ ყოფილა ავთამყოფი და ყური ამის ლაპარაკზედ აქვს მიცემული; მხოლოდ შესახებდავთ ოჯახის პატრონისა თვალთ ლობიოს უმზერს; და რა რომ ყოველი ეს გამოიკითხა. მერმეთ შედარებს გავლილს და მომავალ შემთხვევებს და მართლად დაარწმუნებს საწყალ უფუნურ ხალხსა. მოველგვარი მკითხავი რომ ასრე მოტუვებით სარგებლობს, მე ნათლათ შევნიშნე.

ამისთანა ბედნიერება ელირსებათ და იმ დანიშნულს დღეს ყველანი შეიკრებიან ავთამყოფის სახლში, სადაც თვითონ ავადმყოფი წევს. სადილსაც იქ მიირთმევენ ეს ოცდა რვა კაცი, სადაც აღის მოხარული ხორციდამ ომნივარი ბოლივით; ამდენი ხალხის გროვა და ხორცის ომნივარი არა თუ ავადმყოფს მრთელსაც შეუღონებს გულსა; ამაზედ მოჰყვებიან საღვებდგელოს ერთი სტაქნით თვითველათ ყველანი იქ, სადაც საწყალ ავთამყოფს სული ებრძვის ამოსავალათ; სადილათ ერთი კარგი დიდი, ხარი უნდა იქნეს მიუტოლებელი წესია, ის ხარი ელირება ცოტა ვსთქვამთ ოცდა ათი მანეთი, რომელიც უნდა განაწილდეს თოთხმეტს ნაწილად. როგორც მოხარული ხორცი, აგრეთვე თავი ფეხები გულ-ღვიძლი და ტყავი სრულიად იმ დღელების და იმათი მთავარ დიაკვნებისა არის. ამასთან თითო შემწვარი ქათამი და თითო კარგი ხაჭაპური, თითო ყველის დამატებით; ყოველ სხვა-და-სხვა საქამდს გარდა ესეც შინ უნდა წაუღონ იმათ. მხლა ვათავდა სადილი? და მღვდლები შინ მიდიან. შინდა მიართვან მღვდლებს თითო მანეთი, მთავარ დიაკვნებს ათათი შაური და დიაკვნებს თითო აბაზი; აი კრებით წირვაც ამით თავდება: რომელზედაც გადის სულ რომ ვინაგარი-შოთ ს ა მ ო ც მანეთამდის; საწყალ ავთამყოფს იმა დროს ხმაც აღარა აქვს და ცნობაც დაკარგული აქვს. მაშინ შეიქნება ერთი არეულობა; „ექიმი, ექიმი!—ერთი ამბობს. მქიმი ვინ არის და სადლა არის?—მეორე კითხულობს. მქიმები რაც კი სადმე იყო ყველანი მოვიარეთ მეამე ამბობს მინ ექიმი, ის მკითხავები!!!—მეოთხე ვაოცებით ამბობს.—პირველი ებასუხება: დიხაც მკითხავები მაშ! ამ დროს მეორე მხრიდამ მოისმის ვინლაცას ხმა დარცხენილივით:—ვაჟო... ლეკრი... მოვიყვანოთ, და იქავ გაიწყვეტს ხმას, ვითომ კაცის კვლა ამოსვლოდეს პირი-დამ. ამ ხმაზედ ერთი არეულ დარეული ბაასი: რამ გადაგრი-ვო, ლეკრი მერკულს დააღვივებებს და მოჰკლავს; ის უცხო კაცია ჩვენი კაცია, ქე რა ენაღვლება.—აჰა!—იქ ერთი მათგანი ამბობს, მე ისრე ვიცი, რომ ის ლეკრი უცხო კაცი არ უნდა იყოს, ასრე ვიცი რომ იმ დღეს ჩემი ნაბატონევისას ვნახე და ქართულად ლაპარაკობდა და არც სერთუკი ცმია. იმას ეცვა რაღაც შავი სქელი თავისუფალი ტან საცმელი; და თუ ამნაირი დამარწმუნებელი ლეთიური ვინმე გამოჩნდება, მაშინ კი გახდებიან თანხმა ყველა იქ მყოფი, და ჭირის უფალიც ცდილობს, რომ ვინმე ერთი მარჯვე კაცი გაგზავნოს ლეკრთანა და ერთს ვისმე სთხოვოს, აბა ჩემო კეთილო ძმაო ამ ჩემს ცხენზედ შემძანდო და რაც ძალი და ღონე გქონდეს, ნუ დაზოგავ ცხენს, მხოლოდ ლეკრი მოიყვანე საჩქაროთ. რასაკვირველია, ის კაცი ისრე საჩქაროთ მიეშურება ლეკრისკენ და როცა ლეკრთან მიდის ისრე დალაღულია, რომ საპასუხოთ ხმის ამოდება უჭირს. იქმება იმადროს ლეკრი ან სადილათ ზის, ან ვანშმით, ან სულ ღამე არის და სძინავს. მიმსვლელისთვის სულერთია. ასწევს თავს და დაუკითხავთ ლეკრის სახლში შედის, თუ მართლა უცხო კაცი არ არის და ქართველია ლეკრი. ამ უიკარ შეგვლაზედ თუ შეჩვეული არ არის ლეკრი, ძლიერ შეკრთება. მაგრამ მიმსვლელი მაინც თავისას ეუბნება; ლეკრი ჰკითხავს უთუოთ იმის მისვლის მიზეზს და მიმსვლელიც აუწყებს. შემდეგ ლეკრი ავთამყოფის გარემოებას გამოიკითხავს და მიმსვლელი რაღაცა არეულად მიუყვება. მქეი არ არის, სოფლის უფნურმა ან კი რა უნდა იცოდეს; ის მხოლოდ ამას დაუმატებს, თუ არ დაჩქარდი, ბატონო ექიმო, სურვილსაც ვეღარ მიუწერებთო. იქ რაღა უნდა ქმნას ლეკრმა, თვითონ ხედავს საქმე აღარ ღირს წასვლად, მაგრამ მაინც შეგდება ცხენზედ და მისდევს იმ კაცს. ხშირად შეიძ-

ლება, რომ რაკი მიახლოვდებიან ავთამყოფის ან ვინმე შეხედებათ და ან ხმას მოსმენენ კვილ-კვილისას, იმავე წამს ის ლეკრის მხლებელი კაცი დაადგებს ლეკრს და ვაებით ამას მიაშურებს, ლეკრი მარტოკა ისევ დაბრუნდება. მაინცა და მაინც საყოველთაოთ ამ ჩვეულებას არ ვსწერ, მაგრამ ასე შეიძლება თუ ვერა ესთქვი, ოთხმოცდა ათზედ უსათუოდ შეიძლია ესთქვამტკიცებით, რომ ასე უფნურათ იქცევიან. ისინი აღარბევენ ოჯახს სიკვდილითაც და უფნური ხარჯითაც; შემდეგ სიკვდილისა რა ჩვეულებები არის, ისიც ვნახოთ! რა დღესაც მოკვდება, იმავე წამს შეიქნება ერთი დიდი ხმაინობა ასე, რომ თითქმის ორს ვერსზედ გაისმის, კვილი სადაც შეიკრებიან მეზობლები სამძიმრის მოსახლად და შემდეგ სამძიმრის მოხდისა შედგება ერთი დიდი რჩევა ქვეყანის და მოხუცებულების კაცებისაგან, თუ როდის დანიშნონ ტირილის დღე. მართი ანბობს, რომ ხუთ შაბათს, ამაზედ სხვანი ეწინააღმდეგებან, მისთვის რომ ამ რიგს დღესა ან წიგნის დარიგება როგორ მოვასწროთ, ან სახლების მოპატივება და ან ამა-და-ამა ქალაქიდან თებვის, ანუ ხორცის მოტანაო და უკანასკნელს დროს დანიშნენ ერთს სწორს ასრე, რომ თუ კვირას მიცვლილა, მეორე კვირისათვის იქნება ტირილის დღე. ამ განცხადებულს დროს იქნებიან გამგებნი და მოსამსახურეებთაგანი ასს კაცამდის; უკანასკნელი გლეხიც არ იქნება, რომ ოცი და ოცდა ათი იმათიც არ ეყოლოს ამ ნაირ შემთხვევაზედ, და სულ დიდი კაცი ვინც არის, იმათ ორასი და სამასი კიდევ ცოტა ესთქვი. აქ მაგალითად მომყავს შეძლებული ოჯახი. რა რომ ტირილის დღეს დანიშნენ მაშინვე გამოარჩევენ ერთს კარგს მოხუცებულ მათგანს დასმენ ერთს მწერალს და მოჰყვებიან სიის წერას. მაინც კი არის მიცვალბულის ჭირს უფალის ნათესავი და ან ნაცნობი ყველას პატყობენ, რომ კვირას ის მიცვალბული იტირონ. მოველს თითოეულს მათგანს უნდა მისწერონ ნახევარ ნახევარ თაბახ ქალაღზე და გზავნიან, ხოლო იქ რჩება ის ზემო განცხადებული გამგებნი და მოსამსახურენი დღისითა და ღამით მთელს ერთს კვირას, რომელიც ძალიან ძვირათ უჯდებათ. შექველია რომ ტირილის დღეს, იქ მიბრძნდება ყოველად სამღვდლო თავისი მართებულის კრებით, რომელზედაც უნდა ესასოვდეთ მარადის და იმათ განსაკუთრებული პატივი უნდა ესცეთ. ....

ამ დღეს ხარჯი, პური, ღვინო, და ხორცი, ორმოცს მანეთამდის, გადის შემდეგ სადილსა, წაღვენ ორი პირი მოზარე. ეს დიდ-კაცობის ნიშანია! რა რომ დაუახლოვდებიან მიცვალბულის სახლსა, მაშინ გამოიხტუნებენ ცხენებს ორი, ან ოთხნი მათგანი და დაიწყებენ სარდლობას. გზაში ორ-ორი ჩადგებიან, რომ უფრო მომეტებულად ჩვენონ, ეს უფალი მიმსვლელი გადახურავს იმ მიცვალბულს ხუთს მანეთს. მასპინძელი კი იმაზე და იმის მომყოლ ხალხზედ ხარჯავს ორმოც, მანეთამდის; ამაზედ თქვენ მკითხავთ მკითხულო, რომ იმ კაცს ის ორმოცი მანეთი გავყო შუაზედ და ნახევარა—ე. ი.—ოცი მანეთი თავისთვის შეენახა და ოცი მანეთი იმ ხუთი მანეთი წასახურავისთვის დამატებიაო, ოლონდ კი ნუ მოხვლო, უკეთესი არ იქნებოდაო—რასაკვირველია კარგი იქნებოდა. მე ერთი იმ პირთაგანი, რომელიც მისდევს ამ ჩვეულებას, ამას ვამბობ; თადგან აწ ამის მიყოლა ჩვენთვის აუტანელი და სამძიმო გახდა განსაკუთრებით ამ დროში. ჩემი აზრი მეტადრე ათას რეას სამოცდა ოთხის წლიდამ გამოიცვალა და ამისთვის ვურჩევ, იმათაც, ვინაც დღემდის ერთველათ მისდევს იმ ზემოთ აწერილს ჩვეულებას. დანიშნულს დღეს რაც მოტირალი და იმისნი მიმყოლნი ვეღვენ, იმათ თითველათ პური უნდა აქა-



მონ და ეინ რა ნაირს საკამადს მოითხოვს, ყოვლის უარის უთქმელად უნდა მიერთოს. თუ იმ დღეს უქმელ-უსმელი კაცი, ან ქალი ვინმე წაიდა შინ, დიდ ცოდვით მიანჩნათ: ამბობენ, მიცვალებული იმისთვის უსათუოდ ჯოჯოხეთში ჩაიდა. აქედან წარმოიღვინეთ, თუ იმ დღეს რამოდენი ხარჯი მოსდის მიცვალებულის პატრონს უსარგებლოდ. რასაკვირველია, უკანასკნელი მიცვალებულის მონათესავე ისე არ მივა, რომ ასი ცხენოსანი კაცი და ქალი მაინც არ მიიყოლიოს; და თუ ცოტა თავ მოჰწონე ვინმე არის, ორას ცხენოსანსაც არ დასჯერდება. რაღა ბევრი გავაგრძელო მიცვალებულის ჭირის უფალს ზემოხსენებულ ხარჯს გარდა, იმ დღეს რომ გადასახურავი მოუთა, იმას გარდა და ყოველ უბედურებას გარდა, მართა იმ ერთ დღეს საქმელი დაეხარჯება ორასსამას მანეთამდის. საღამოს მიცვალებულს გაასვენებენ ეკლესიაზედ. ამ განცხადებულის ტირილის დღადამ ორმოცხედ იქნება გამოტირილი. ასი მანეთის პური და ღვინო მაშინაც დაეხარჯება და თუ დიდი მებატონე ვინმეა, ნახევარ წელიწადზედ და წლის გასრულებამდე და დანიშნავს გამოტირილს. ახლა იქაც გავიხსენოთ, თუ ის დაბატყებული სტუმარი როგორ მოქმედებს? რაი დაბატყების წიგნს მიიღებს იმ საათიდან იმისი კაცი დადის მეზობლობაში და ნაცნობობაში; პატრონს კაცსა და ქალსა იმ დღისათვის წასაყვლად. ამავსებზე ზოგს ცხენი არა ჰყავს და ეს კაცი აძლევს საქირაო ფულს, ზოგნი რომელნიმე სამუშაოთ მიდიან და ამასაც ქირავობს მოტირილი. რაო, და ვითომ ერთი დიდი ჯარათ მივიდეს, ქება არისო. ამ გვართ შეკრებს რაოდენსავე ცხენოსანს კაცსა და ქალსა. თითონ ჯერეთ კიდევაც არ იცის, თუ რამოდენი მოუთა და მოტირალი კი შინ ას კაცის სადილს ამზადებს. ბათენდება წასვლის დღეს და იწყებენ მოსვლას დაბატყებულნი, ათს საათამდის ყველანი მოგროვდებიან; ამ მასპინძელს ისეთი სადილი აქვს გაკეთებული, რომ კარგს ქორწილს შეჰფერის, არა თუ მოტირალ ხალხსა, სადაც დაეხარჯვის ამდენი ურდო ხალხის წამყვანს აუარებელი ხორავი. ამ გვართ ვინც ტირილითა დაბატყებული, ისიც დიდს ხარჯშია და მკედრის მასპინძელი ხომ სულ გაქარნიავებულია. უკანასკნელი აზნაურის ოჯახი მიცვალებულისთვის ხარჯავს ორმოც სამოც თუმნისასა.

ის არა სჯობიან თქვენ მეზობელს რომ ვინმე ავთ გაუხდეს, მაშინვე ლეკოს მიამუროს. აზრში არ არის შესაშვები, რომ ლეკმა უსაფუძვლოთ მერკური დააღვიწოს ავთამყოფს და ეთქვით რომ კიდევაც დააღვიწოს, სულ ერთი არ არის: გინდ მერკულით მომკვდარა და გინდა მაცთურის მკითხავის კითხვისაგან. თუ ღმერთი გაწყურს და ავთამყოფი მიიცვალოს, მაშინ იმ ხუთასი მანეთის ნაცვლად ოთხი ხუთი თუმანი იქმაროს, ის არა სჯობია, ხარჯით დაქცევას და დაღუპვას! მიცვალებული მახლობელის მონათესაეების თანადასწრებით დაიპარხოს, მღვდელს საწირავი მიეცეს, გლახებს მიცვალებულის სულისათვის იმის გამოწვევად დაურიგდეს, ისა სჯობია, ვიდრე მარჩივლების უბრალო ხარჯი, ზარი კრების წირვა და სხვა ამისთანა გამდარებელი ხარჯი გასწიოს. მისაც თავის დაღუპვა არ უნდა, ახლანდელს დროში ასე უნდა მოიქცეს.

ბურული მ... ბერიძე.

## პოლიტიკა.

ისპანია.

ხასიათი ისპანიის რევოლუციონისა. მდრიდის კარრესპონდენტი სწერს „Times“-ში ოქტომბრის 21-დგან: „ისპანიის რევოლუციამ ყველა გააკვირვა; ამან არივა

მტრები და მეგობრების მოლოდინს გადააჭარბა. ბენერალი პრიმი რომ მიდიოდა ლონდონიდან ძადისში, სექტემბრის 1-სა ძალიან დაღვრემილი იყო; გული თითქო ბოროტს ეუბნებოდა, მაგრამ გულადობა იმისი ამითი ვერ დამცირდა. „ნუ გვილატებთ ნურც ბედში და ნურც უბედურებაში“, უთხრა ერთი ანგლიელს თავის მეგობარსა, როდესაც ესალმებოდა. „მოახლოვდა განკითხვის დღე ისპანიისათვის, მოუმატა იმან, და ნუ გაგიკვირდებათ, რომ სასჯელმა გადააჭარბოს კანონიერ ზომასა. თქვენ უნდა თვალს ქვეშა გქონდეთ ყოველთვის წარსული, რომ სწორედ დაფასოთ ანუ სრულებით აპატიოთ ახლანდელი“. თითონ პრიმი ახლა იმყოფება სასიამოვნო განკვირებაში. მმართველობის ყოველგვართა ბოროტ-მოქმედებათა, რომელთაც გამოჰყვანდათ ისპანია მოთმინებიდან უკანასკნელის ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ გამოითხოვეს ხალხისაგან სისხლის სასჯელი. სამღვთოდ აღრეულობისა შეიქმნენ მხოლოდ რამდენიმე კაცი, რასაკვირველია არაფერში შესანიშნავნი. ისპანიას, როგორც იტყვიან, დააკლდა მხოლოდ ერთი დედაკაცი; კოროლეამ დასტოვა მხარე, და ხალხმაც ეს იმყოფა. აქამდინ ჯერ არავის უშინია თავისუფლება ასე იაფად. მაგრამ ნათქვამია: „რაც იაფია, ის კარგი არ არისო“. ეს ანდაზა ძალიან მოუხდება ისპანიის რევოლუციასა. რომ კარგი ბოლო ჰქონდეთ საღმრთო რევოლუციასა, ხალხი თითონ უნდა შეუდგეს თავის საქმეების მომართვას; მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ისპანიის ხალხი ძალიან დიდს ხანს ექცეოდა უგულოდ პოლიტიკის საქმესა. აქ ყოველთვის ცოტანი იყვნენ პოლიტიკის მიმყოლნი, და უგულოდ მაცქვრელნი კი მოხდენილებისა მრავალნი. ახლა ისპანიაში 500,000 მოქალაქე ძლივს იქმნება პოლიტიკის მიმყოლი, ისიც თავიანთი საკუთარი სარგებლობის გამო, თორემ დანარჩენი თექვსმეტი მილიონი, რომელიც შეადგენს ისპანიის ნაციასა და რომელიც ახლავს არმოდელიან ჯიბის ამსებასა, ისინი წარმოგვიდგენენ სრულებით უგულო გროვასა. სერრანოს და პრიმს ჯერ აქამდინ ვერ გაუძლიათ საჩუქრებზე და ამაღლებზე გაუმაძღარი პატრიოტები ისპანიისა, რომელნიც ღამე და დღე გარს ევლებიან იმათა. შევლა არმიის აფიცრებმა მიიღეს შემდეგი ჩინი; კუნძულებზე გუბერნატორებთა გავზენეს გროვა ხალხი, რომელთაც სანჩო-პანსოს კეთილი განზრახვა არც კი აქვს, რომ ემსახურონ მინდობილთ საქმეებს თავიანთი შეძლებისა და ცოდნის კვალად. მუშინ დაიშალა მდრიდის იუნტა, მაგრამ ბევრმა იმის მწვერმალწინადლითვე გამოატანეს თანამდებობაები. საზოგადოების თანამდებობის დაქერის გაუძღომელმა სურვილმა დაღუბა იტალიის ხაზინა; ეს არის მხერელი მტლი მთელი ლათინის თემისა—იტალიისა, ისპანიისა, შრანციისა. ეს ხასითი არის მტერი შესახებ ხაზინისა და პოლიტიკისა; ეს არის ხმალი, რომელიც ჰკვიტს ყოველს კეთილს განზრახვასა და თავისუფლებასა. ზანსვენებული ნარევეი მოიცილებდა ამ ბოროტებასა, ამიტომ რომ ის ხოცდა იმათა, რომელნიც არაფრით არ გამოყოფილდებოდნენ.

დანარჩენი 16,000,000 ხალხი არ არიან ანგარიშში ჩასადგენნი. ისპანიაში საქმიანი კაცი სრულებით არ ერევა პოლიტიკურ საქმეებში. იქ პოლიტიკა არის ხალხისაგან გასული, განმარტოებული საზოგადოების ხელოში. ხალხი კი პოლიტიკაში ხედავს მხოლოდ მოუცილებელს საქირავებას, რომელაც, თუმცა თხოულობს მოაზრებასა, მაგრამ მხოლოდ სიტყვით და არა საქმით. ახლა ჯერ არავის მოსვლია აზრში სთქვას რამ შემდეგს კაროლზე. „ამ საქმეს გადასწყვეტს ხალხი“, ყველანი მშვიდად ამბობენ. თუ ხალხზე ჩამოვარდა საქმე, ვგონებ იმ საიქოსაც ვერ გადას-

წყდეს ეს საქმე: „ხატი ჩემი შევედილია,—ვიცი იმისი ძალაო“ ნათქვამია. თექვსმეტი მილიონიდან ჯერ ერთის თავში არ მოსულა აზრი, რომ როგორ უნდა გადასწყვიტონ ხალხის წარმომადგენლებმა შემდეგი მმართველობის სახე.

ბარდაწყვეტა ისპანიის შემდეგის ბედისა არის დაწესებულის შეკრებილების ხელოში, რომელიც არის ამორჩეული საერთო ხმის მიცემითა. მაგრამ ხალხმა მხოლოდ ეს კი იცის, რომ ისპანიაში უნდა იყოს რომელიმე მონარხი და რომელიმე კონსტიტუცია, და ის კი არ იციან ან რომელი უნდა ანუ როგორი; არ იცის. ჩვენ სრულებით არ ვიცით რა დასაწყისით, რა პრაგრამით წარმოუდგება მხარეს დროებითი მმართველობა; ანუ ხალხსა სურს, რომ უთხრას რამ თავისგან ამორჩეულებსა, თუ უნდათ მისცენ მხოლოდ carte blanche. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ რაცა სურს თქმად თექვსმეტი მილიონ ხალხსა, ეს არის 500,000 მოქალაქის ინტერესში, ისიც საკუთარის სარგებლობის მხრივ. მე არც მაგდენად ვენდობი საერთო ხმით ამორჩევასა, ამიტომ რომ სამხრეთის მხარეებში არ იციან მოხმარება ამისი. ჯერ პირველნი განათლებულნი ნაციები საერთო ამორჩევასა მხარობენ მხოლოდ მაშინ, როდესაც გარდაწყვეტილი აქვს რომელიმე აზრი; მაგრამ ისპანიის ამორჩევს უბძანებს დროებითი მმართველობა, რომ გავზენოს დეპუტატი კაროლის ამოსარჩევლად და კონსტიტუციის შესადგენად და არ კიეუბნება ან რომელი კაროლი უნდა ამორჩიოს ამ დეპუტატმა, ან როგორი კონსტიტუცია უნდა შეადგინოს. აგრეთვე არ ვიცი თითონ დროებითი მმართველობა გამოვა თავისი უსაქმურობისა და აპატიიდან, თუ არა? ანუ ახლად დანიშნულნი გუბერნატორები და აღმაღლების მძებნელნი კეთილად იმოქმედებენ საერთო ამორჩევაში თუ არა. მე ვიცი მხოლოდ, რომ ბევრს მხარეებში განსაკუთრებით სოფლის თემებში აღმოჩნდებიან ადგილობრივი უფროსობას გარდა, სხვა აგენტებიცა. ძნელი სათქმელია ისიცა, რომ სამღვდელთა და იმათმა მეგობრებმა წააგეს ჯერა, თუ არა?

ახლა ისპანიას კარგი დრო აქვს, რომ კარგად მოაზროს, რა არის იმისათვის საჭირო, რომ უწინდელი დროები აღარ დაბრუნდნენ; ახლანდელი მეროპის მდგომარება ისეთი არის, რომ არავინ შეერევა იმის შინაგან საქმეებშია. 1831-ის ბელგიის რევოლუციის ეს დრო არა ჰქონდა, ამიტომ რომ სხვა სახელმწიფოები უშლიდნენ და იმათთან მორიგების აზრი აწუხებდათ. მაგრამ ისპანიას არ შეუძლიან გამოიკვილიოს თავისი საჭიროება, ამიტომ რომ ვისაც ხელთმდგანელობა აუღია, იმან თითონაც არაფერი იცის, და ხალხსა სთხოვს, რომ აღმორჩეულები გამოგზავნონ, არ კი იცის თუ რათა და რისათვის? თუ ყოველი გათავდეს სამი თვის ანარჩული რესპუბლიკითა, რომელსაც მოჰყვება ბურბონების აყენება, მაშინ დროებითა მმართველობამ თავისი თავი უნდა გამტყუნოს მომხდარი რევოლუციის ამ გვარი ბოლოსათვის.

ახლანდელი ისპანიის დროებითი მმართველობის მიღებაზე გარეშე სახელმწიფოთაგან. მდრიდისგან იწერებიან ბავსის სააგენტოში ოქტომბრის 26-სა: „მუშინ, შუადლის უკან, გამოვიდა ხმა, რომ შრანციამ, ანგლიამ და პორტუგალიამ მიიღეს დროებითი მმართველობა. არც საზოგადოება და არც სტამბა არ ენდნენ ამ ხმას; მხოლოდ მარტოზეა იმპერიალმა დაბეჭდა ეს ამბავი. მე მივიღე ცნობანი, რომ ანგლიისა, შრანციისა და პორტუგალის მმართველობათა გამოგზავნეს ოფიციალური პასუხები უფ. ლორენზანოს ცირკულიარზედ, რომელნიც თანასწორ არიან ახლანდელი ისპანიის მდგომარების ოფიციალურს ამბავთან.

ამბობენ, ვითომც შრანციის მმართველობის პასუხში დიდი თანამგობრობელობა არისო, რომელშიაც ამბობს: ფრიადა გვეტრის რომ შრანციასა და ისპანიას შუა იყოს უწინდელი მეგობრობა ერთმანერთთან, და იმედი გვაქვს, რომ სრულებით გამართული ისპანიაც ამავე გრძობით იქმნება შრანციას, ისპანიის მმართველობა ახლა მიღებული არის შეერთებული შტატებისაგან, ანგლიისა, შრანციისა და პორტუგალიისაგან; იტალიამაც, თუმცა სრულებით არა, მაგრამ მიიღო. რუსეთს, ატსტრიას და პრუსიას ჯერ აქამდე თავიანთი პასუხი უფ. ლორენზანოს ცირკულიარზე არა შეუტყობინებინათო; პაპის ნუნციამკი, რომელიც ეგონათ, რომ დაეჭარბება მდრიდისგან გასვლასა, მიუფო დროებითს მმართველობასა, რომ ჰსურს იმასთან ჰქონდეს მეგობრობა. ამ ამბავმა პუბლიკა აგრეთვე გააკვირვა თავისის მოულოდნელობითა, როგორც იტალიის მხრივ თავის შემავრებაში. ისპანელები ამბობენ, რომ იტალიას ყველა სახელმწიფოსაც უწინ უნდა მიეღოთ ისპანიის ახლანდელი მდგომარება, ამიტომ რომ ისპანიამ მიიღო იტალია იმ დროს, როდესაც ისინი შეერთდნენ რევოლუციის საშუალებით, რომელიც მოხდა უფრო ცუდის გარემოებითა, ვიდრე იზაბელას ტახტიდან ჩამოგდება. ამ ამბის უქნაურობა უფრო დიდდება მაშინვე, როდესაც მოვიგონებთ, რომ ისპანიის რევოლუცია ამით არის სასარგებლო იტალიისათვის, რომ რომის საქმეს უფრო ცუდს ადგილს აყენებს, რადგანაც ამ საქმეს ისპანიისაგან დახმარება აღარ ექნება.“

დროებითი ისპანიის მმართველობა თავის მანიფესტში აცხადებს, რომ თვითუფლს პირს, რომელსამე კრებას, მავრას და მთელს ხალხს ეძლევა სრული თავისუფლება თავისი საქმის უკეთ მიმართვისა, და ამაში მმართველობა არ გაერევა. ღვინის შემდეგ ისპანიის ხალხზედ ძვეს ყოველი ვალდებულია პასუხისმგებისა, რადგანაც ახლა თავისუფალია და შეუძლიან დაიჭიროს ის ადგილი განათლებულთ ხალხთ შუა, რომელიც კანონით ეკუთვნის. მმართველობა აცხადებს თავის განზრახვას ეკონომიური რეფორმების დაწყებაზედ, რომელნიც გააკეთებენ საზოგადოების რწმუნებასა და საერთო კეთილმდგომარებასა. ჰოველი პოლიტიკური, საზოგადოებისა და მმართველობის რეფორმები გავრცელდებიან აგრეთვე ისპანიის ყველა კალონიებზედაცა. ამგვარად დამყარებული მკედრის თავისუფლებისა და კრედიტის საფუძვლებზედ, ამბობს მანიფესტი, ისპანია შეიძლება არჩევას მმართველობის უკანასკნელის სახისას. დროებითს მმართველობას არა ჰსურს წინათვე გადაწყვეტილის თქმა ამ გვარი დიდის მნიშვნელობის საქმეზედ, მაგრამ ერთს გარემოებას კი გვაჩვენებს. შევლა იუნტები იყვნენ თანახმანი ახლანდელი შედგენილების (organización) დაწესებაზედ (პრინციპებზე), მაგრამ როდესაც ამათ გამოსთქვეს თავიანთი აზრი შესახებ ამისა, მაშინ არაფერი არასთქვეს მონარჩიულს დაწესებაზედ. ამ საქმეში იმათ პირობა არ მიუციათ ერთმანერთისათვის წინა დღიფე; ასე მოიქცენ მხოლოდ თავიანთი საკუთარი პატრიოტულის და გონებრიულის ხმის სმენითა. ამ გვარ საქმეს არ შეიძლება, რომ არ მიეყრა დროებითი მმართველობის გულის ხმა. რასაკვირველია, აქ ისმოდნენ რესპუბლიკური მმართველობის სასარგებლო ხმები, მაგრამ რაინდ გაღვინის მექონნი იყვნენ ეს ხმები მაინც ვერ შეუძლიანთ დააეწყონ ის საერთო სიჩუმე იუნტებისა იმ გვარ ძნელს საქმეზედ, როგორც არის შემდეგი სახე მმართველობისა. თუ აღმოჩნდება, რომ დროებითი მმართველობა სცდება და ისპანიის ხალხი მონარჩიულს მმართველობას უგულოდ მოექცევა, მაშინ მმართველობა ჰპირდება დამორჩილდეს ხალხის კანონიერად გამოთქმულს მიუ-

ფების ნებასა. მანფესტის დასაბოლოებელში დროებითი მმართველობა იწვევს ხალხს ჰქონდეს იმისი სრული მინდობილება და აცხადებს, რომ დამაწყებელი კორტესებს აძლევს ანგარიშს თავისი მმართველობისას.

ბურონების მიფეთქება მომავალ ღობაზედ. ცელი ებაჯარის შედგენილება. შუ. მირანდა, რომელიც დაბრუნდა მადრიდის პარიჟში, სწერს გაზეთში Caulois შემდეგ: „მერტოვი მონანსიე უკუდგაო ისპანიაში დაბრუნებიდან. ბერმა გაზეთებმა, რომელნიც გამოდრან სევილიში, მისცეს გერცოგს რჩევა, რომ ის მოიქცეს ამ გვარად. სევილიში მოხდა მანფესტაცია, რომელსაც ჰქონდა მტრული ხასიათი მორლანის სახელზედ. ამბობენ ვითომც ეს მანფესტაცია იყო შემადგენელი გარეშე სახელმწიფოების აგენტებისაგან, რადგანაც სევილიში მცხოვრებთ აქვს მადლობის ხსოვნა გერცოგი მონანსიეებისა, ამათი ფაქტობისა და სიუხვისა. მაგრამ სევილის იუნტამაც გამოაცხადა პროკლამაცია, რომელიც არ არის აგრეთვე მორლანის მიფეთქებით გამოვლდობის სასარგებლოდ. ზოგი ამბობს, რომ ეს პროკლამაცია შედგენილია იუნტის მწვერთა მტრე ნაწილისაგან. შინანსის მინისტრმა შეიტან რჩევა, რომ შემოკლონ ისპანიის ჯარი 50,000 კაცამდე. ღროებითი მმართველობა რაცხს საჭიროდ ჯარის დიდროს ადგილებზედ დანიშნოს იმ გვარნი პირნი, რომელთაც ნდობას და თანამგრძობელობას ჰქონდეს სიმკვიდრე, რადგანაც ნარევეცმა და მანსალესბრავომ ეს ადგილები დაურეგა ძველის წესის მიმყოლოთ—(მამფოტრებს). შოველ დღე აცხადებენ გამორიცხულებსა და ამ გამორიცხულოთ ადგილებს იქერენ ახალგაზდა აფიცრები, რომელნიც განიჩევიან თავისუფლობის აზრებითა. საერთოდ ისპანიაში დიდი ხანია რაც მიღებულია წესად შეცვლა სხვა და სხვა სამმართველოს შედგენილობისა; იხაზელლას მმართველობის დროს სულ ყოფილან 519 მინისტერი, არც მეტი და არც ნაკლები.

მსპარტერო, რომელიც უწინ დიკტატორად იყო, უკუდგა დროებითი მადრიდის მმართველობის პრეზიდენტობისაგან, და გამოსთქვა რჩევა თავის გაზეთში Eco National, რომ აღადგინონ უწინდელის ღონით 1856 წლის კონსტიტუცია, მხოლოდ იმისი დაწესებათა გარეითად, რომელნიც შეეხებოდა მფეთქამომავლობათა და შევიწროებენ ხმის ქონასა. ამ კონსტიტუციაში, როგორათაც 1845-ის კონსტიტუციაში დაწესებულია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მმართველი პირი ჩამოაგდონ, მაშინ უშთავრესი ნება გადადის დირექტორიაზე, რომელიც შესდგება სამ წევრთაგან. მსპარტერო ამბობს: „ჩვენ უნდა მივყვეთ ბელგიელების 1831-ის მაგალითსა, რომელთაც მონარხი (მფე, ხელმწიფე) მხოლოდ მაშინ დააყენეს, როდესაც იმათა ჰქონდათ კონსტიტუცია, რომელიც ყოველის სისრულით განსაზღვრიდა ვალდებულებას მეფისას და იმის ქვეშევრდობისას.

ისპანიაში რესპუბლიკური დემოკრატიული პარტიის პროგრამა. პარიის გაზეთში Liberté, გამოცხადებულია კარგა გავრცელებული პროგრამა, რომელიც შედგენილია რესპუბლიკურს აზრებზედ; ეს პროგრამა არის გამოგზავნილი უფ. მორენესაგან ვალენსიიდან. სამს, პირველს მუხლში ამ პროგრამისა არის ნათქვამი, რომ ისპანიაში უნდა დაწესდეს ფედერატიული დემოკრატიული რესპუბლიკური სახე მმართველობისა; რომ კანონების დამწესებლობის ნება ექმნება მხოლოდ ერთს კრებას, რომლის მწვერნი აღმოიჩევიან ყოველ წელს საერთო ხმის მიცემითა; აღმასრულებლობის ნება ექმნება პრეზიდენტსა, რომელსაც აღმო-

იჩევის კანონების დამწესებლობის კრება გასუსაზღვრელის დროითი, და რომელსაც გადააყენებს კრებისავე ნება.

დაქვეყნება რესპუბლიკის ცხებებისა. ისპანიის სამხედრო მინისტრმა, გენერალ პრიმმა, მისცა ნება ბარცელონის სამოქალაქო კრების რჩევასა, რომ დაქვეყნონ ციტადელის ცხებები, ფორტი პიო და ვერკები ბტორანას, იუნკეროს და იერუსალიმი. ამ გვარად სამხედრო მინისტრი დათანხმდა ბარცელონის იუნტის სხდომის გარდაწყვეტილებასზედ. ამ იუნტამ მოშალა თავისი სხდომა, მაგრამ დიდის უკმაყოფილებითა. რესპუბლიკელები ისპანიაში. 29-ს ოკტომბერს (17) მადრიდიდან იწვევიან: რესპუბლიკელების პარტია დიდთ შრომობს და იმათი მომხრე გაზეთები მრავლდება აგრეთვე იმათი კლუბები. ცხადია, რომ თუ დროებამ გაიარა და მეფის კანდიდატის სახელი მალე არ გამოცხადდა, რესპუბლიკელების ჰაზრი გავრცელდება და თავის ნაყოფს მოიტანს იმითი, რომ კორტესების შეკრების დროს ეს პარტია სხეების რიცხვს გადაამატებს. მჭე არ არის, რომ ეხლანდელი დრო რესპუბლიკელების გავლენას და მნიშვნელობას ძალიან გაძლიერებს. ამ შემთხვევაში ტყვილი იქნებოდა დამტკიცება, ვითომც რესპუბლიკური მმართველობის ფორმა ისპანელების ზნესა და აღათს არ შეეთვისებოდა; რესპუბლიკელი პარტია ამაზე მიუგებდა, რომ ეჩვენისთვის 22 დგან ისპანიაში უკაროლოთაც გასძლოვო. დემოკრატიული პარტია ჰკითხავს დროებითს მმართველობას, კორტესების შეკრამდის რათ წარმოთქვა თავისი აზრი როგორი მმართველობა უნდა დაწესდეს. როგორც სხანს კორტესების კრებაში დემოკრატიულს პარტიას ექმნება დიდი მნიშვნელობა.

ისპანიაში სესხი. როდესაც ისპანიის მმართველობამ გამოაცხადა 500 მილიონი ფრანკის სესხება თავისი საკუთარის საჭიროებისათვის, იმავე დროს გადაუწყვიტა კალონიის რჩევას ზაენაში, ისესხოს ანგლიისაგან 10 მილიონი ფიმიკი, ანუ 25 მილიონი ფრანკი შესასრულებლად კალონიის შემოსავალ გასავლის სის და დასასრულებლად საზოგადო სამუშაოსი, რომელიც არიან დაწყებულნი.

ხალხის სწავლება ისპანიაში. რა ნაირი მოქმედებაცა ჰქონდა ისპანელებზედ სწავლების თავისუფლების დეკრეტსა, ჰსცან ამ სტატიიდანა, რომელიც იყო დაბეჭდილი ერთს ისპანიაში ძალიან გავრცელებულს გაზეთში El museo universale ოკტომბრის 11-ს: „შემოგვაქვს აზრი, რომ ყოველი შენობა, რომელნიც არიან ქალაქებში დანიშნულნი ხარების საჭიდლად, გადაქციოთ პირველ დაწყებით სასწავლებლებად, დასლოთ წესად, რომ ყოველი ექვსის წლის ყმაწვილი ვალდებული იყოს სწავლაზედ. საწყალი დედამის შვილებს უნდა მიეცეს სწავლა მუქთად, რომლის გამო მამულებს, რომელნიცა ღირან 15,000 დუროსად, უნდა დაეღებთ გარდაწყვეტილი ხარჯი. ჩვენ ამაზედ დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველას ესმის ესა: თუ ჩვენი პირველ დაწყებითი სასწავლებლები არ გავრცელდებოდა, მაშინ ჩვენს რევოლუციას არ ექმნება ის ნაყოფი, რომელსაც მოველით; ი. ვერ მოვიპოვებთ ნივთიერების და პოლიტიკურს კეთილმდგომარეობასა. ბარდა ამისა ჩვენ ვრაცხთ სასარგებლოდ, რომ 1-ს მაისიდან 1-ს ოკტომბრამდინ ყოველს ქალაქში და ყოველს სოფლის კრებაში გაიღებოდნენ საყოველთაო ლექციები. ეს ლექციები 2 საათზე მეტი არ უნდა იკითხებოდნენ. მრეშაბათობით მღვდელი უნდა ასწავლიდეს სამღვთო წერილსა. სამშაბათს წაიკითხოს მასწავლებელმა პირველ დაწყებითს სასწავლებელზე

ლექციას ისტორიიდან და გეოგრაფიიდან. საღამოზე ჰქამი ანუ აფთიქარი წაიკითხავს ლექცია კარგა-მყოფობაზე; ხუთშაბათს მომრიგებელი მსაჯული წაიკითხავს ლექციას საზოგადოების მმართველობაზე და სამოქალაქო კანონებზე; \*) სოფლის მოსახლე, ანუ ვაჭარი წაიკითხავდა ლექციას სოფლის სახლონობაზე და ვაჭრობაზე; (1) პარასკევს ჰქამი ანუ სხვა პირი წაიკითხავს ლექციას ფიზიკიდან და ბუნების ისტორიიდან; კვირასეგინასტიკა, სამხედრო ტარება ნიშანში სროლა სამსახურიდან გამოსული მხედრის ხელმძღვანელობის ქვეშ. პირველ დაწყებითს სასწავლებლების სწავლაზე თვალი უნდა ექირთ პროვინციის უფროსობასა. თუ კონსკრიპცია (საღდათის აყენა) არ იქნება მოშლილი, მაშინ კარგი იქნებოდა გაგვეთავისუფლებინა, წყნარს დროს მაინცა, კონსკრიპციისაგან ისა, რომელმაც საქებრად გაათავა პირველდაწყებითი სწავლა და დიქირა საზოგადოებაში ის ადგილი, რომელიც სრულებით ამართლებს ამ გვარს არჩევასა. ბოლოს ურჩევს, რომ ყოველს სოფლისა, ანუ ქალაქის კრებაში გამართონ საზოგადოების ხარჯზედ კაზინო საზოგადო ბიბლიოთეკითა, სადაც გამოიწერენ ჟურნალებსა და გაზეთებსა. თუცა ისპანიაში ხალხი მტრედ არის განათლებული, ვიდრე სხვა ყოველს მერობის მხარეში. მაგრამ ამ უკანასკნელს რევოლუციაში დაამტკიცეს, რომ პატრიოტობაში და გონებინობაში არა ხალხს არ ჩამოუვარდებიან; დაამტკიცეს აგრეთვე, რომ გაჩნდეს კი მხოლოდ ისპანიაში ახალი მაშინგტონი, ანუ ლეპოლლი ბელგიისა და ისპანია მაშინვე შეიქმნება აგრეთვე კეთილმდგომარე, როგორიც არიან შეერთებული შტატები, ბელგია, ანგლია და შეეცარია. ინებოს ღმერთმან, რომ ჩვენც მივიღეთ იმავე კეთილ საქმეებში, რომელშიაც იმყოფებიან ჩრდილოეთის-ამერიკელები, ანგლიელები, ბელგიელები და ლერმანელები, და ინებოს ღმერთმან, რომ პირენის მთებმა დაგვიფარონ მფენებელი მოქმედებათგან ჩვენის მფეზობებისა.

ოსმალითი. პაპის მოწვევა. ამ დღეებში იქ პაპისგან გამოგზავნილმა მღვდელთმთავარმა საბერძნეთის პატრიარქს წარუდგინა მიპატიყება რომის მსოფლიო კრებაში. პატრიარქმა ჰკითხა, ეს მიპატიყება განსხვავდება თუ არა რითიმე იმ მიწვევასთან, რომელიც იყო გაზეთებში გამოცხადებული და როცა მღვდელთმთავარმა უპასუხა ორივე ერთაი; მაშინ პატრიარქმა მიუგო: ეგ მიწვევა არ შემიძლიან მივიღო, იმიტომ რომ მაგაში ბევრი

შეუსაბამო და უკადრისი სიტყვებითა წააქროთქმული ჩვენს მართლმადიდებელს ეკლესიასზე.

ტელეგრაფები. (პეტერბურღში მიღებული)

ბრისტოლში, ბელფასტში, ბოლტონში და პორტში მოხდნენ აღრეულებანი საპარლამენტო აღმორჩევის გამო. ბრისტოლში მისულან სახლებზე და აუღიათ. პროვინციის ბანკს დასცემიან, მაგრამ მოუარჩენიათ. (თფილისში მიღებული.)

პეტერბურღი. 5-ს ნოემბერს. ანგლიის კაროლეამ მიიღო გარდაწყვეტილობა, რომ თუ მოსთხოვენ ირლანდიაში სახელმწიფო სარწმუნოების შეცვლასა, მაშინ ტახტს დაანებებს თავსა.

პეტერბურღი. 6-ს ნოემბერს. ანგლიის ბანკმა გამოგზავნა რუსეთში ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი ოქრო. ხვალ მოელიან მათს შმალღესობას პონსტანტინე ნიკოლოზის ძეს. ზემით მოსიარულობა დიხურა.

კერპოლოპითნი განსხადებანი.

საპაპისის სამოსწავლო მთავრობის ნებართვით ტფილისში განიზრახეს სამკლასიანი შკოლის გახსნა პანსიონითა.

ამ ქამათ გამართულია მხოლოდ საზეზირო კლასები უფ. სტეფანესთან რეჩიკვის სახლში პოჩტამტს ქვემოთ სამების ეკლესიის მახლობლათ. ზემნაზიის ყმაწვილებს შეუძლიანთ სადილს უკან ისწავლონ ხოლმე იქ თავიანთი უროკები ყველა საგნებზე და ენებზე: რუსულზე, ლათინურზე, ფრანკულზე, ნემეცურზე და სომხურზე მასწავლებლების ხელმძღვანელობით. ბარდა უროკების სწავლისა ყმაწვილებს შეუძლიანთ იქვე ისწავლონ მუზიკა, გალობა და ტანცაობა. მისაც პირობის უტყობა უნდა, იმან უნდა, მიპართოს უფ. სტეფანეს, რომელიც ყოველდღე სამი საათიდან ხუთ საათამდის შინ არის ბებუთოვის ქუჩაზე მაგნიციის საყდრის ახლოს ლორის-მელიქოვის სახლში, ხოლო ხუთს საათს შემდეგ უფ. სტეფანე იქნება იქ, სადაც საზუპირო კლასებია გახსნილი.

მმარწვილს კაცს, რომელსაც დაუსრულეზია სწავლა პარიჟში, ჰსურს ასწავლოს ფრანკულული ენა.

ადრესი იკითხე „ღროების“ რედაქციაში.

საბიბლიოგრაფიო ცნობა. გუნების კარი, სახეაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სახმარებელი, დაიბეჭდა და ისყიდება შემდგომ ადგილებში: სასულიერო სემინარიაში, მართანოვის წიგნების მალაზიაში და მელიქივილის სტამბაში. წიგნთან დამატებულია საქართველოს კარტა. შასიქველგან 65 კაპეიკი. იბეჭდება და ჩაბრა ბამომა სინოპტიკური. 1869 წლის. ფასი 5 შაურკი. ამ კალენდარში არის: თეების რიცხვი, აქაური და მერობიული; მთვარის რიცხვი; ყოველი რჯულის უქმეები; ყოველი სამთავრო დღესწავლები; ფოშტის წასვლის დღეები და ტელეგრაფის გასაგზავნი ფასი მთელ საქართველოში და გამორჩილ ქალაქებში მთელი ქვეყნისა; მზის ამოსვლის დრო ტფილისში მთელი წლისთვის და სხვ. ამ კალენდარზე არის წარმოდგენილი (ლიტოგრაფიით) ორი უშთავრესი ნაწილი ტფილისისა რომლებიც არიან შემკული სხვა და სხვა მორთულობითი.